| გამომუშავებული შემოსავალი                           | 7        | 92 897           | 81 654           | 70 034           |
| მიმდინარე სასესო ვალდებულებები                      | 8        | 440 126          | 378 328          | 193 649          |
| გრძელვადიანი სასესო ვალდებულებები                   | 9        | 1 993 797        | 1 658 377        | 1 200 834        |
| მიღებული გრანტები                                   |          |                  |                  |                  |
| სხვა ვალდებულებები                                  |          | 559              | 52               | 4 486            |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                            |          | <b>2 572 931</b> | <b>2 654 182</b> | <b>1 828 013</b> |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                            |          |                  |                  |                  |
| საწესდებო კაპიტალი                                  |          |                  | -                | -                |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი                       |          | 643 621          | 1 087 271        | 910 726          |
| გადაფასების რეზერვი                                 |          |                  |                  |                  |
| სხვა რეზერვები                                      |          |                  |                  |                  |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                        |          | <b>643 621</b>   | <b>1 087 271</b> | <b>910 726</b>   |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>       |          | <b>3 216 552</b> | <b>3 741 453</b> | <b>2 738 739</b> |

**საქმიანობის შედეგები დასრულებული 2020 წლის 31 დეკემბრისათვის**

|                                                                                   | შენიშვნა | 31.12.2020         | 31.12.2019         |
|-----------------------------------------------------------------------------------|----------|--------------------|--------------------|
| <b>ნეტო ამონაგები</b>                                                             |          | <b>6 150 464</b>   | <b>7 538 675</b>   |
| საქონლის გაყიდვიდან                                                               |          | 6 150 464          | 7 415 352          |
| მომსახურების განვადიდან                                                           |          | -                  | 123 323            |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან                                                      |          |                    |                    |
| სხვა                                                                              |          | -                  | -                  |
| <b>რეალიზებული პროდუქციის<br/>თვითღირებულება</b>                                  |          | <b>(5 208 356)</b> | <b>(6 344 885)</b> |
| საწყისი მარაგები                                                                  |          | (1 012 285)        | (883 650)          |
| მარაგების შესყიდვა                                                                |          | (4 924 243)        | (6 473 520)        |
| გადამუშავების დანახარჯები                                                         |          |                    |                    |
| საბოლოო მარაგები                                                                  |          | 728 173            | 1 012 285          |
| <b>საერთო მოგება</b>                                                              |          | <b>942 109</b>     | <b>1 193 790</b>   |
| სხვა შემოსავალი                                                                   |          | 10 147             | 2 715              |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                          |          | (230 214)          | (171 015)          |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                              |          | (150 527)          | (165 662)          |
| საპროცენტო შემოსავალი:                                                            |          |                    |                    |
| საპროცენტო ხარჯი :                                                                |          | (116 982)          | (113 082)          |
| იჯარის ხარჯი                                                                      |          | (19 125)           | (24 250)           |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                          | 10       | (125 317)          | (196 727)          |
| <b>სულ საოპერაციო ხარჯები</b>                                                     |          | <b>(632 019)</b>   | <b>(668 021)</b>   |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                                                          |          | <b>310 090</b>     | <b>525 769</b>     |
| <b>გაუთასურების (ხარჯი)/ რევერსირება:</b>                                         |          |                    |                    |
| ფინანსური აქტივები                                                                |          |                    |                    |
| მარაგები                                                                          |          |                    |                    |
| სხვა არაფინანსური აქტივები                                                        |          |                    |                    |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო<br>ოპერაციებიდან:                        |          | (186 755)          | 88 414             |
| მიღებული დივიდენდები                                                              |          |                    |                    |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/<br>(ხარჯი)                                  |          |                    |                    |
| <b>მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის<br/>ხარჯამდე განგზავნილი ოპერაციებიდან</b> |          | <b>123 335</b>     | <b>614 183</b>     |
| მოგების გადასახადი                                                                |          |                    |                    |
| <b>მოგება/(ზარალი)</b>                                                            |          | <b>123 335</b>     | <b>614 183</b>     |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</b>                                          |          |                    |                    |
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის,<br>ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი    |          |                    |                    |
| სხვა                                                                              |          |                    |                    |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:</b>                                     |          |                    |                    |
| <b>მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)</b>                                         |          | <b>123 335</b>     | <b>614 183</b>     |

**კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება დასრულებული 2020 წლის 31 დეკემბრისათვის**

|                                                 |  | <b>31.12.2020</b> | <b>31.12.2019</b> |
|-------------------------------------------------|--|-------------------|-------------------|
| კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი) |  | 1 087 271         | 910 726           |
| ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...) |  | -                 | -                 |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)  |  | (500 000)         | (248 113)         |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში           |  |                   | (189 525)         |
| საანგარიშგებო წლის მოგება/ზარალი                |  | 123 335           | 614 183           |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                       |  | (66 984)          | -                 |
| კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს           |  | <b>643 621</b>    | <b>1 087 271</b>  |

**ფულადი სახსრების მოძრაობა დასრულებული 2020 წლის 31 დეკემბრისათვის**

|                                                   | შენიშვნა | <b>31.12.2020</b> | <b>31.12.2019</b> |
|---------------------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან   |          | 685 809           | 363 447           |
| წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან |          | 2 466             | (290 222)         |
| წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან    |          | (766 360)         | 227 529           |
| წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში |          | <b>(78 085)</b>   | <b>300 754</b>    |
| სავალუტო კურსის ეფექტი                            |          | 6 035             | 7 088             |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში       |          | 398 192           | 90 350            |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს            |          | <b>326 141</b>    | <b>398 192</b>    |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2021 წლის 18 აგვისტოს.

დირექტორი :

/ ტიგრან კირაკოსიანი

## სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

### ზოგადი ინფორმაცია

შპს „KTM“ დაფუძნებულია „მენარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია მენარმეთა და არასამენარმეთო იურიდიული პირების რეესტრში 2006 წლის 22 ივნისი, რეგისტრაციის ნომერი - 922/081

იურიდიული მისამართი: ქ.ბათუმი, პუშკინის ქ., N67

საიდენტიფიკაციო ნომერი: 245565035

დამფუძნებელი: ტიგრან კირაკოსიანი (3/6 61001004260)- 100 %

დირექტორი: ტიგრან კირაკოსიანი ( 3/6 61001004260)

საზოგადოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- საცალო ვაჭრობა ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით სპეციალიზებულ მაღაზიებში
- ტექსტილის და ბეწვეულის პროდუქციის რეცხვა და ქიმშენდა

### მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (*მსს ფასს*) შესაბამისად. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

### ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და ქვეყნის მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

### ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

### მოგების გადასახადი

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით



განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი).

### *ძირითადი საშუალებები*

ძირითადი საშუალების ერთეული ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით, აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით.

ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად.

| ძირითადი საშუალების ჯგუფი  | სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები) |
|----------------------------|--------------------------------------|
| შენობები                   | 20                                   |
| მანქანა დანადგარები        | 5-10                                 |
| საოფისე ავეჯი და ინვენტარი | 5-7                                  |
| კომპიუტერული ტექნიკა       | 5-7                                  |
| სატრანსპორტო საშუალებები   | 5-7                                  |

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### *არამატერიალური აქტივები*

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესწორდება პერსპექტიულად.

### *აქტივების გაუფასურება*

არაუგვიანეს ყოველი 3 საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების მაჩვენებელი, ხდება აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფი) ანაზღაურებადი ღირებულების შეფასება და შედარება მის საბალანსო ღირებულებასთან. იმ შემთხვევაში თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება მცირდება შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

### *იჯარა*

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები გამოაკლდება მოგებისა და ზარალის განსაზღვრისას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრთივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

### *მარაგები*

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

### *სავაჭრო და სხვა მოთხოვნები*

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება მოკლევადიანი ანაზღაურების პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაისინჯოს, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. იმ შემთხვევაში თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

### სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს არ ერიცხება პროცენტი. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

### ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

### ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

### ახსნა განმარტებითი შენიშვნები

#### შენიშვნა 1

##### ფული და ფულის ექვივალენტები

ნაღდი ფული სალაროში  
ფული საბანკო ანგარიშებზე  
გასანაღდებელი ტერმინალით მიღებული თანხები  
სულ

| 2020          | 2019             |
|---------------|------------------|
| 900           | 51685.78         |
| 324740        | 342719.48        |
| 501           | 3786.5           |
| <b>326141</b> | <b>398191.76</b> |

#### შენიშვნა 11

##### სავაჭრო მოთხოვნები

მომსახურებიდან და მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები  
მოთხოვნები პერსონალის მიმართ  
მოთხოვნები გაცემულ სესხებზე  
სულ

| 2020             | 2019             |
|------------------|------------------|
| 64104.68         | 123069.19        |
| 3820.14          | 0                |
| 159 944.84       | 0                |
| <b>227869.66</b> | <b>123069.19</b> |

#### შენიშვნა 2

##### მარაგები

საქონელი  
სულ

| 2020          | 2019           |
|---------------|----------------|
| 728173        | 1012285        |
| <b>728173</b> | <b>1012285</b> |

### შენიშვნა 3

#### სხვა მიმდინარე აქტივები

ბიუჯეტის ზედმეტობა

საპენსიოს ზედმეტობა

სულ

| 2020     | 2019         |
|----------|--------------|
| 0        | 47453        |
| 0        | 0            |
| <b>0</b> | <b>47453</b> |

### შენიშვნა 4

#### არამატერიალური აქტივები

პროგრამული უზრუნველყოფა: 1C ERP

თვითღირებულება

2020 წლის 1-ლი იანვარი

შემოსვლა

გასვლა

2020 წლის 31 დეკემბერი

დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება

2020 წლის 1-ლი იანვარი

წლიური ცვეთა (ჩართულია ადმინისტრაციულ ხარჯებში)

2020 წლის 31 დეკემბერი

საბალანსო ღირებულება

2020 წლის 31 დეკემბერი

| ფე            |
|---------------|
| 46 726        |
| 1 612         |
| 0             |
| <b>48 338</b> |
| 11279         |
| 9 667         |
| <b>20 946</b> |
| 27 391        |

### შენიშვნა 5

#### ძირითადი საშუალებები

| პერიოდი: 01.01.2020 - 31.12.2020          |                               |                         |            |          |                     |                         |                                    |                    |                              |
|-------------------------------------------|-------------------------------|-------------------------|------------|----------|---------------------|-------------------------|------------------------------------|--------------------|------------------------------|
| ძირითადი საშუალება.ჯგუფი                  | ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი | ღირებულება              |            |          | ამორტიზაცია         |                         |                                    |                    | საბალანსო წარჩენი ღირებულება |
|                                           |                               | პერიოდის დასაწყისისთვის | შემოსავალი | გასავალი | პერიოდის ბოლოსთვის  | პერიოდის დასაწყისისთვის | ამორტიზაცია საანგარიშგებო პერიოდზე | პერიოდის ბოლოსთვის | პერიოდის ბოლოსთვის           |
| ავიჯი ოფისისათვის, 000011                 | წრფივი                        | 19 734.32               |            |          | 19 734.32           | 6 358.80                | 6 244.98                           | 12 603.78          | 7 130.54                     |
| არამატერიალური აქტივი, 000013             | წრფივი                        | 48 337.55               |            |          | 48 337.55           | 11 278.76               | 9 667.56                           | 20 946.32          | 27 391.23                    |
| ელექტრონული მოწყობილობა, 000015           | წრფივი                        | 46 639.61               |            |          | 46 639.61           | 28 971.56               | 9 078.92                           | 38 050.48          | 8 589.13                     |
| კომპიუტერები, 000016                      | წრფივი                        | 9 689.38                |            |          | 9 689.38            | 4 979.89                | 2 672.89                           | 7 652.78           | 2 036.60                     |
| მანქანა-დანადგარები, 000017               | წრფივი                        | 148 884.10              |            |          | 148 884.10          | 53 556.25               | 37 961.40                          | 91 517.65          | 57 366.45                    |
| მსუბუქი ავტომობილები, 000018              | წრფივი                        | 18 320.00               |            |          | 18 320.00           |                         |                                    | 18 320.00          |                              |
| სხვა, 000019                              | წრფივი                        | 12 051.24               |            |          | 12 051.24           |                         | 2 723.97                           | 2 723.97           | 9 327.27                     |
| სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებები, 000020 | წრფივი                        | 30 991.70               |            |          | 30 991.70           | 24 185.99               | 4 298.40                           | 28 484.39          | 2 507.31                     |
| შენიშვნა-ნაგებობა, 000008                 | წრფივი                        | 1 737 259.00            |            |          | 1 737 259.00        | 334 362.94              | 77 878.44                          | 412 241.38         | 1 325 017.62                 |
| <b>სულ</b>                                |                               | <b>2 071 906.90</b>     |            |          | <b>2 071 906.90</b> | <b>482 014.19</b>       | <b>150 526.56</b>                  | <b>632 540.75</b>  | <b>1 439 366.15</b>          |

#### დაუმთავრებელი მშენებლობა

სულ

| 2020          | 2019          |
|---------------|---------------|
| 478413.58     | 478413.58     |
| <b>478414</b> | <b>478414</b> |

### შენიშვნა 6

#### სავაჭრო ვალდებულებები

| 2020 | 2019 |
|------|------|
|------|------|

|                          |              |               |
|--------------------------|--------------|---------------|
| ადგილობრივი მომწოდებლები | 38178        | 535771        |
| უცხოელი მომწოდებლები     | 3156         | 0             |
| <b>სულ</b>               | <b>41333</b> | <b>535771</b> |
|                          | 0            | 0             |

#### შენიშვნა 7

##### გამოუქმავებელი შემოსავალი

მიღებული ავანსები

სულ

| 2020         | 2019         |
|--------------|--------------|
| 92897        | 81654        |
| <b>92897</b> | <b>81654</b> |
| 0            | 0            |

#### შენიშვნა 8

##### მიმდინარე სასესხო ვალდებულებები

მოკლევადიანი საკრედიტო ხაზი

გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი

სულ

| 2020          | 2019          |
|---------------|---------------|
| 0             | 136 506       |
| 440126.01     | 241 822       |
| <b>440126</b> | <b>378328</b> |

#### შენიშვნა 9

##### გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

კომპანიას საფინანსო უწყებიდან აღებული აქ უზრუნველყოფილი 10 წლიანი გრძელვადიანი სესხი ეფექტური 4,5 %. ში. (ევროში) უზრუნველყოფაშია კომპანიის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება.

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

სულ

| 2020        | 2019       |
|-------------|------------|
| 0           | 1658377.15 |
| 0           | 1658377.15 |
| -1993797.49 | 0          |

#### შენიშვნა 10

##### ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

მიწოდების ხარჯები

კომუნიკაციის ხარჯი

რემონტის ხარჯი

საგადასახადო ხარჯი

კომუნალური ხარჯი

სატრანსპორტო საშუალების მოვლის ხარჯი

განვადების საკომისიო

სხვა საერთო ხარჯი

სულ

| 2020          | 2019          |
|---------------|---------------|
| 15553.21      | 60639.22      |
| 4853.09       | 1 710         |
| 603.4         | 6 138         |
| 0             | 26 614        |
| 18937.89      | 35 290        |
| 4182.62       | 2 188         |
| 28760.39      | 30 747        |
| 52426.34      | 33 400        |
| <b>125317</b> | <b>196727</b> |



მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ქონია

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2021 წლის 18 აგვისტოს.

დირექტორი :

/ ტიგრან კირაკოსიანი